1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 24 (122) 30 დეკემბერი 1960 წ.


## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები


235. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

236. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

237. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

238. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70 მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

239. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 10 მაისის კანონში ზოგიერთ დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

240. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა „სამხედრო სამსახურში მორიგი ვაწვევის ჩატარების ვადების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ და „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“ კანონის მე-15 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.

241. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა „იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების თაობაზე, რომლებიც წინა სამუშაოდან წავიდნენ თავიანთი სურვილით“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 25 იანვრის ბრძანებულების დამატების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

242. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

243. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის მინისტრების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

244. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნის შესახებ.

245. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. შ. რ. რაშიდოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

246. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ი. ს. ნასრიდინოვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

247. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. გ. ს. ძოწენიძის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

248. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

249. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. ა. სილინის დანიშვნის შესახებ.

250. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ლ. თ. ტეპლოვის განთავისუფლების შესახებ.

251. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

252. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

253. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

254. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. მ. მამულაძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

255. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. გ. გრიბაჩოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

256. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

კავშირის საბჭოს დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

ეროვნებათა საბჭოს დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

## 235 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც მოამზადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის შესწორებებით.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

## 236 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის წინადადებებით, სახელდობრ (ფასების ახალი მასშტაბით): სულ შემოსავლის ნაწილში 78.993.741 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 77.589.829 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 1.403.912 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 2.** დაწესდეს სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახა-

დი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 72.052.442 ათასი მანეთის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 3.** დაწესდეს სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის სულ 33.907.835 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის, საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 27.152.242 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 7.762.404 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 5.** დაწესდეს სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სსრ კავშირის თავდაცვისათვის 9.255.450 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დაწესდეს სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების შესანახავად 1.092.871 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 7.** დამტკიცდეს 1961 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 37.121.920 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 35.718.008 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 1.403.912 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 8.** დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკათა 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 42.861.341 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით:

| | (ათას მანეთობით) |
|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 25.332.253 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 7.482.486 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.282.814 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.148.895 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.095.644 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 719.622 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 670.197 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 545.750 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 328.962 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 476.006 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 395.968 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 331.957 |

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 366.959
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 362.762
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 321.066

**მუხლი 9.** დამტკიცდეს 1961 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფსრ — 32,7 პროცენტი, უკრაინის სსრ — 32,9 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 54,2 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 64,2 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 80,2 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 70,5 პროცენტი, ლიტვის სსრ — 78,8 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 37,5 პროცენტი, ლატვიის სსრ—19,9 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 96,0 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 94,4 პროცენტი, სომხეთის სსრ — 76,6 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 55,9 პროცენტი.

ბ) თანხიდან, რომელსაც სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები ათავსებენ სახელმწიფო სესხში 1961 წლის ანაბრების ნაშთის მატების ხარჯზე, და 1961 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი.

დამტკიცდეს 1961 წლისათვის მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან ანარიცხები ყირგიზეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში 100 პროცენტის ოდენობით.

გამოეყოს 1961 წელს სრულიად საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 931.575 ათასი მანეთი და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 57,945 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## 237 სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 740.145.132 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 703.991.427 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 36.153.705 ათასი მანეთის გადამეტებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**238** **„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70 მუხლში დამატების შეტანის შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 18 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 70 მუხლს სიტყვების შემდეგ: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“ დაემატოს სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**239** **„მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 10 მაისის კანონში ზოგიერთ დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 ივლისის ბრძანებულება „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 10 მაისის კანონში ზოგიერთ დამატებათა შეტანის შესახებ“.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) 68 მუხლის „ა“ პუნქტს სიტყვების შემდეგ: „ახორციელებს ხელმძღვანელობას“ დაემატოს სიტყვები: „სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოების და“;

2) 69 მუხლს სიტყვების შემდეგ: „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების“ დაემატოს სიტყვები: „სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოების“;

3) 82 მუხლს სიტყვის შემდეგ: „აგრეთვე“ დაემატოს სიტყვები: „სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს და“;

4) 88-ა მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებშიც იქმნება სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოები, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ასევე სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს“.

ამის შესაბამისად მუხლი 88-ა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 88-ა.** ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები ხელმძღვანელობენ სამეურნეო საქმიანობის მათთვის დავალებულ დარგებს, უშუალოდ ექვემდებარებიან რა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებშიც იქმნება სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოები, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ასევე სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს.

ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად“.

5) სსრ კავშირის კონსტიტუციის VI თავს „მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანოები“ დაემატოს 88-ბ მუხლი შემდეგი შინაარსის:

**„მუხლი 88-ბ.** სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო ახორციელებს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციას, უშუალოდ ექვემდებარება რა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

## 240 „სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის ჩატარების ვადების თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ" და „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების თაობაზე" სსრ კავშირის კანონის მე-15 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 27 ივლისის ბრძანებულება „სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის ჩატარების ვადების შესახებ".

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებები „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" სსრ კავშირის 1939 წლის 1 სექტემბრის კანონის მე-15 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 15.** მოქალაქეთა მორიგი გაწვევა სამხედრო სამსახურში ტარდება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ყოველწლიურად ყველგან და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობისათვის ნოემბერ-დეკემბერში, იმ ნაწილების გამოკლებით, რომლებიც განლაგებული არიან შორეულ ადგილებში, რომელთათვისაც გაწვევა ტარდება ივნისში, აგრეთვე სპეციალური ჯარების და ნაწილების, რომელთათვისაც გაწვევა ტარდება სექტემბერში.

გაწვევაზე მოქალაქეთა გამოცხადების ზუსტი ვადები დადგინდება რაიონების სამხედრო კომისრების ბრძანებებით".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**241** **„იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების თაობაზე, რომლებიც წინა სამუშაოდან წავიდნენ თავიანთი სურვილით“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 25 იანვრის ბრძანებულების დამატების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულება „იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების თაობაზე, რომლებიც წინა სამუშაოდან წავიდნენ თავიანთი სურვილით“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 25 იანვრის ბრძანებულების დამატების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**242** **„სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულება „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

**243** **სსრ კავშირის მინისტრების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1960 წლის 16 მაისისა—სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. არსენი გრიგოლის ძე **ზვერევის** განთავისუფლების შესახებ პირადი თხოვნით ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

1960 წლის 16 მაისისა — სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრად ამხ. ვასილ თევდორეს ძე **გარბუზოვის** დანიშვნის შესახებ;

1960 წლის 3 ივნისისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ვასილ სიმონის ძე **ემელიანოვის** დანიშვნის შესახებ;

1960 წლის 11 ივნისისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ალექსი ადამის ძე **გორეგლიადის** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## 244 სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად ამხ. რომან ანდრიას ძე **რუდენკო** და დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 1 ივლისის ბრძანებულება ამ საკითხზე.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## 245 ამხ. შ. რ. რაშიდოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. შარაფი რაშიდის ძე **რაშიდოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### 246 ამხ. ი. ს. ნასრიდინოვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. იადგარ სადიკის ასული **ნასრიდინოვა** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### 247 ამხ. გ. ს. ძოწენიძის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. გიორგი სამსონის ძე **ძოწენიძე** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 დეკემბერი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### 248 სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მოწონებულ იქნას მთლიანად და სავსებით საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 249 სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. ა. სილინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ ალექსანდრეს ძე **სილინი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად სუდანის რესპუბლიკაში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 16 დეკემბერი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 250 სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ლ. თ. ტეპლოვის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ლეონიდე თევდორეს ძე **ტეპლოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სუდანის რესპუბლიკაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 16 დეკემბერი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 251 რუსეთის სფს რესპუბლიკის სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონისა „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ. № 31) იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას;

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო და საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წ. № 17);

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულება „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოების და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წ. № 16);

4. სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონი „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ. № 4);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებაში და „სასამართლოთა პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის თაობაზე“ 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ. № 17) — გარდა ამ ბრძანებულების 2 მუხლისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 252 რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემოთ ნაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 იანვრიდან, ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი 3 (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წ., № 45, მუხ. 377);

2. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წ. № 59, მუხ. 251);

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის და საჭიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წ., № 16),

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წ., № 18);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წ., № 19);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წ., № 19);

7. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 6);

8. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 6);

9. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (გაზეთი „მოსკოვსკი ბოლშევიკი“, 1949 წლის 6 იანვარი, № 4);

10. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, გამოც. 1959 წ.);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, გამოც. 1959 წ.);

12. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წ., № 1);

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება, „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით განთავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, გამოც. 1959 წ.);

14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წ. 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წ., № 7) იმ ცვლილებებით, რომელნიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებისა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო,

საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 17);

15. „მოზრდილი ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წ. № 21);

16. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 დეკემბერი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 253 რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედიან რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 იანვრიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია რუსეთის სფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ რუსეთის სფს რესპუბლიკის 1960 წლის 27 ოქტომბრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს გა-ნაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდადე-ბულნი არიან რუსეთის სფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაუ-ლისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 254 ამხ. დ. მ. მამულაძის შრომის წითელი დროშის ორდენით და-ჯილდოების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. დ. მ. მამულაძის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების გათვალისწინებით, ამხანაგი დავით მიხეილის ძე **მამულაძე** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 255 მწერალ ნ. მ. გრიბაჩოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, მწერალი ნიკოლოზ მათეს ძე **გრიბაჩოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 256 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. სერჟანტი რაფიელ ნასირის ძე **ბასიროვი.**
2. უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ პავლეს ძე **კორნილოვი.**
3. კაპიტანი ივანე იოსების ძე **მინაევი.**

## „მედლით მამაცობისათვის"

1. ეფრეიტორი ალექსანდრე კირილეს ძე **დოროხოვი.**
2. რიგითი ალექსანდრე მათეს ძე **კისელიოვი.**
3. რიგითი გრიგოლ ალექსანდრეს ძე **ნეკოზა.**
4. სერჟანტი ბორის გრიგოლის ძე **პოსტორონკო.**
5. უფროსი სერჟანტი ანატოლი პავლეს ძე **სუხოვერხოვი.**
6. რიგითი ალექსი ივანეს ძე **ურუსოვი.**

## მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

1. ეფრეიტორი ხამზა შეიბაკის ძე **გაისინი.**
2. რიგითი რაზიტ ხაზიახმეტის ძე **მუხამადიაროვი.**
3. რიგითი ანას დოლიანის ძე **სულეიმანოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 20 დეკემბერი.

## კავშირის საბჭოს დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭომ დაადგინა იცნოს რწმუნებანი კავშირის საბჭოს დეპუტატებისა:

ანატოლი პეტრეს ძე **ალექსანდროვისა,** რომელიც არჩეულია 1960 წლის 15 მაისს სვერდლოვსკის ლენინის № 297 საარჩევნო ოლქში,

ანდრია დანილის ძე **სკაბასი,** რომელიც არჩეულია 1960 წლის 19 ივნისს უმანის № 560 საარჩევნო ოლქში,

ტაისია ფედოტეს ასულ **კუიმოვასი,** რომელიც არჩეულია 1960 წლის 10 ივლისს კოტელნიჩის № 192 საარჩევნო ოლქში,

ვალენტინ მიხეილის ძე **სუხოვისა,** რომელიც არჩეულია 1960 წლის 24 ივლისს ძერჟინსკის № 144 საარჩევნო ოლქში,

გალინა ვლადიმერის ასულ **პივუნოვასი,** რომელიც არჩეულია 1960 წლის 24 ივლისს მოგილიოვის № 594 საარჩევნო ოლქში.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 20 დეკემბერი.

## ეროვნებათა საბჭოს დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭომ დაადგინა იცნოს რწმუნებანი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებისა:

გიორგი სამსონის ძე **ძოწენიძისა**, რომელიც არჩეულია 1960 წლის 26 ივნისს ოჩამჩირის № 383 საქალაქო საარჩევნო ოლქში აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან,

ბალიშ **ოვეზოვისა**, რომელიც არჩეულია 1960 წლის 31 ივლისს კერკის № 341 საარჩევნო ოლქში თურქმენეთის სს რესპუბლიკიდან,

ვასილ თევდორეს ძე **გარბუზოვისა**, რომელიც არჩეულია 1960 წლის 11 სექტემბერს უფის ორჯონიკიძის № 399 საარჩევნო ოლქში ბაშკირეთის ასს რესპუბლიკიდან,

იადგარ სადიკის ასულ **ნასრიდინოვასი**, რომელიც არჩეულია 1960 წლის 23 ოქტომბერს ანდიჟანის № 83 სასოფლო საარჩევნო ოლქში უზბეკეთის სს რესპუბლიკიდან.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 20 დეკემბერი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 24 დეკემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ლიტვის სსრ მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეულ ყოფილიყვნენ ლიტვის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 500 კაცი. მათ შორის: **ლენინის** ორდენით—35, **შრომის წითელი დროშის** ორდენით—70, **საპატიო ნიშნის** ორდენით—115 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 280 კაცი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 24 (122) 1960 წ. 30 დეკემბერი

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8, მთავრობის სახლი

ფასი 2 მან.

1961 წლის 1 იანვრიდან

ფასი 20 კაპ.

# ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 24 (122) 30 декабря 1960 г.

**Редакционная коллегия**

**Издатель — Президиум Верховного Совета ГССР**

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели, 8, Дом правительства

ЦЕНА 2 РУБ.

С 1 января 1961 года

ЦЕНА 20 КОП.

შეკვ. № 4 ტირ. 2500

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления делами Совета Министров Грузинской ССР